ხაშურის მოამბე

№35(359) 26 სექტემბერი, ორშაბათი, 2022 წელი

ქინძათის ახალი სკოლა საზეიმოდ გაიხსნა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის გახსნის საზეიმო ცერემონიაში მიიღეს მონაწილეობა.

სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის შენობა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით აშენდა. სკოლა ოთხ სოფელს - ქინძათს, მცხეთიჯვარს, ახალუბანსა და დუმაცხოვს (100 მოსწავლეს) მოემსახურება. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე კაბინეტებით, სპორტული მოედნით, სველი წერტილებით, გათბობის სისტემით და ადაპტირებული ინფრასტრუქტურით.

გახსნის ცერემონიას დაესწრნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, თავმჯდომარის მოადგილეები ლევან გამრეკელი და ნოდარ ლომიძე,ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად გოგუაძე,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენელი ქეთი ქადაგიშვილი, სკოლის ხელმძღვანელები, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები.

მისასალმებელ სიტყვაში თენგიზ ჩიტიაშვილმა ხაზი გაუსვა სახელმწიფო პოლიტიკას განათლების მიმართულებით და აღნიშნა, რომ სოფლად მოქალაქეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის გამართული სასკოლო ინფრასტრუქტურა უმნიშვნელოვანესია. მან მიულოცა სასკოლო საზოგადოებას ახალი სასწავლო წელი და წარმატებები უსურვა.

„მუნიციპალიტეტი მხარს დაუჭერს ყველა ინიციატივას, რაც მიმართული იქნება ქართული სოფლის გაძლიერებისკენ“, - განაცხადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა. მან იმედი გამოთქვა, რომ სკოლის ახალი შენობა ახალ სიცოცხლეს შეიძენს და არაერთი თაობის წინსვლას და განვითარებას მოემსახურება.

ზვიად გოგუაძემ მადლობა გადაუხადა სკოლის მშენებლობის საქმეში ჩართულ ყველა მხარეს - მუნიციპალური განვითარების ფონდს, ხაშურის მუნიციპალიტეტს, სკოლის ხელმძღვანელობას და სოფლის საზოგადოებას სკოლის ახალი შენობა მიულოცა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენელმა

ქეთი ქადაგიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის შენობა ყველა თანამედროვე სტანდარტს აკმაყოფილებს და მზადაა სასწავლო პროცესის დასაწყებად.

ქინძათის სკოლა ახალ სასწავლო წელს 10 პირველკლასელით ეგებება. თითოეულმა მათგანმა საჩუქრად ბუკი მიიღო.

პროგრამა - „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ - გრძელდება

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ ის მხარდაჭერით, პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტში სამუშაო შეხვედრები გრძელდება.

შეხვედრის მიზანი, მუნიციპალური სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის გააქტიურებაა, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების გაუმჯობესების მიზნით.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გამართულ შეხვედრას უძღვებოდა GIZ-ის ლოკალიზაციის ხელშეწყობის პროექტის წარმომადგენელი ნიკა ჩანადირი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ-ნინო ლიპარტელიანმა, ხაშურის მუნიციპალიტეტში, მდგრადი განვითარების მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებზე და იმ 17 მიზანზე ისაუბრა, რომლებიც გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციითაა გაწერილი და რომელთა შესრულებასაც მუნიციპალიტეტი,კომპეტენციის ფარგლებში, ეტაპობრივად ახორციელებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, საგანმანათლებლო სისტემების, კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის, ა(ა)იპ და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, რათა მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული ინფორმაცია უფრო ფართო მასებისთვის გახდეს ცნობილი.

ხაშურის ამერიკული სივრცე მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის (FLEX) მონაწილეებს მასპინძლობდა

FLEX პროგრამის 2021-2022 წლის ხაშურელმა ალუმნებმა მარიამ ლომიძემ, ნუცა გელაშვილმა და გელა გაჩეჩილაძემ შეხვედრის მონაწილეებს პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმები გააცნეს, სარეგისტრაციო პროცედურები განიხილეს და ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლისა და ცხოვრების პერიოდში მიღებული გამოცდილება გაუზიარეს.

შეხვედრის ბოლოს FLEX-ის მონაწილეებმა აუდიტორიის შეკითხვებსაც უპასუხეს. პროგრამაში მონაწილეობის შესარჩევი პროცესი - აპლიკაციების მიღება დაწყებულია, შესაბამისად, შეხვედრის ახალგაზრდა მონაწილეებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს მათთვის საინტერესო ყველა პროცედურასთან თუ სხვა საკითხთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ამერიკული სივრცეების როლი ახალგაზრდების პიროვნული განვითარების საქმეში.

ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისის“ მიერ 2022 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში და საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის და წყლის სისტემის ზედამხედველობის, სასაფლაოს მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებების, ,მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების, მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გათვალისწინებული პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 2022 წლისთვის,

		ხელფასი	საქონელი და მომსახურება	სულ საფინანსება
1	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	661866	383334	1045200
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის გარე განათება	84348	223352	307700
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობა	139416	148384	287800
4	წყლის სისტემის ზედამხედველობა	60600	37200	97800
5	გამწვანების პროგრამა	161634	109266	270900
6	სასაფლაოს მოვლა-პატრონობისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა	42780	15020	57800
	ჯამი	1150644	916556	2067200

გამოიყო 2 067 200 ლარის სუფსიდია.(დაფინანსება).

2022 წლის რვა თვეში, ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისმა“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობისათვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღო 1 378 921,5 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან მიღებლი და გახარჯული იქნა 67056,49 ლარი. სულ რვა თვის დანახარჯებმა შეადგინა 1 445 977,99 ლარი. საიდანაც ხელფასის დანახარჯებმა შეადგინა 731831,53 ლარმა, ხოლო საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 714 146,46 ლარი. პროგრამით გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად, ა(ა)ი.პ ხაშურსერვისის მიერ, ჩატარებული იქნა ტენდერები, კონსოლიდირებული ტენდერით მომწოდებლებთან გაფორმებული იქნა 12 ხელშეკრულება თანხით 476371 ლარი, ჩატარდა 11 ელექტრო ტენდერი - თანხით 334545 ლარის. მომწოდებლებთან გამარტივებუული შესყიდვის წესით გაფორმდა 45 ხელშეკრულება, თანხით 66439,2 ლარის. სულ, რვა თვეში, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 877355,2 ლარი.

რვა თვეში შეძენილი იქნა 462817,47 ლარის საწვავი. მათ შორის: 93315ლიტრი დიზელის საწვავი, თანხით 341401,43 ლარი, 8457 ლიტრი ბენზინი, თანხით 29083,23 ლარის და 66711 კბმ ბუნებრივი გაზი - თანხით 92332,81 ლარის. რვა თვეში კომუნალური გადასახადების დანახარჯებმა შეადგინა 10098,45 ლარი მათ შორის: სატელეფონო მომსახურება და ინტერნეტის დანახარჯია (სილქნეტი + მაგთი) 3468,83 ლარი, გათბობისათვის გახარჯული გაზის ღირებულება-4483,16 ლარი, გახარჯული ელექტრო ენერგიის ღირებულება-2146,46 ლარი. თანამშრომლებისათვის შეძენილი იქნა 10000 ცალი სამედიცინო პირბადე - თანხით 690 ლარი. ჩვენს ქვეყანაში, ეროვნული ვალუტის ინფლაციამ, გამოიწვია საქონელის შესყიდვაზე დაგეგმილი ფასების მნიშვნელოვანი ზრდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 1045200 ლარი, საიდანც ხელფასის ფონდი შეადგენს 657 996 ლარს, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 387 204 ლარით. დასუფთავების პროგრამის შესრულებაზე დასაქმებულია 125 თანამშრომელი. ერთი მენეჯერი, 5 სპეციალისტი, 4 მუშა-ბრიგადირი, 38 მეეზოვე, 32 მუშა, 22 დასუფთავების ქვითრების დამრიგებელი, 6 დამლაგებელი, 13 მძღოლი. დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1100 ლიტრიანი 796 ცალი ნაგვის კონტეინერი (298 ცალი პლასტმასი, 498 ცალი რკინის) , გამოიყენება ექვსი ერთეული ნაგავშემკრები სპეცტექნიკა და ხუთი სატვირთო ავტომანქანა. ყოველდღიურად ქ.ხაშურში იგვება 48100 მ ^{2} , ხოლო დაბა სურამში 15500 მ ^{2} ფართი. თვეში ერთხელ ვახორციელებთ ქ.ხაშურში და დაბა სურამში საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდას 638000 მ ^{2}- ზე. 2022 წლის რვა თვეში ხაშურის ნაგავსაყრელზე გატანილი იქნა 56480 მ ^{3} საყოფაცხოვრებო ნარჩენი. 2022 წელს დასუფთავების მუშების ყოველთვიური ხელფასი დარიცხვით შეადგენს 525 ლარს. მეეზოვეებსა და დასუფთავების ქვითრის დამრიგებლების ყოველთვიური ხელფასი დარიცხვით შეადგენს 320 ლარს, მძღოლების ხელფასი 500 ლარს. 2022 წლის რვა თვეში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად მიღებული იქნა 753 152,06 ლარი . ადგილობრივი შემოსავლებიდან მიღებული იქნა 44800 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების სისტემის მოვლა- შენახვასა და რეაბილიტაციაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 2022 წლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის, გამოყოფილია 307 700 ლარი.საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 84 348 ლარს,ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 223 352 ლარით. გარე განათების ელექტრო ხაზების სიგრძეა 405325 მეტრი. ელექტრო სადენების ბოძები განლაგებულია ყოველ 35 მეტრში და სულ აღირიცხება 11581 ელექტრო საყრდენი ბოძი და ამდენივე სანათი. 11581 ელექტრო საყრდენი ბოძიდან 10933 ბოძი არის ელქსელების საკუთრებაში, ხოლო 648 ბოძი მუნიციპალიტეტის საკუთრებაა. გარე განათების 11581 სანათიდან 3000 არის დიოდური სანათი, ხოლო დანარჩენი 8581 სანათი არის ჩვეულებრივი ვარვარა ნათურები. გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვასა და რეაბილიტაციაზე დასაქმებულია ცხრა თანამშრომელი: ერთი მენეჯერი. ერთი ბრიგადირი, ხუთი ელექტრიკოსი, ორი მძღოლი , რომლებიც ემსახურებიან ორ სპეცავტომანქანას (ამწეკალათსს)

2022 წლის რვა თვეში, გარე განათებისათვის მოვლა-პატრონობისათვის, საჭირო მასალების შესაძენად ჩატარდა 2 ელექტრონული ტენდერი - თანხით 83695 ლარი. შეძენილი იქნა სხვადასხვა ამპერისა და ტიპის 5460 ცალი ნათურა და სხვადასხა სახის ელექტრო საქონელი, რომლებიც გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის დასახლებებაში არსებული გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვის სამუშაოების შესასრულებლად. 2022 წლის რვა თვეში, გარე განათების მოვლა შენახვასა და რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 174639 ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან მასალების შეძენაზე გაიხარჯა 1098 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობაზე 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 287 800 ლარი, შიდა გზების მოვლა -პატრონობაზე დასაქმებულია ექვსი თანამშრომელი: ერთი მენეჯერი, ერთი გზის ინჟინერი, ოთხი მექანიზატორი, სამი ერთეული საგზაო ტექნიკა: გზის გრეიდერი, ექსკავატორ-დამტვირთი და მუხლუხიანი ტრაქტორი. ტენდერზე შეძენილი იქნა 300 კბმ ხრეში და 1500 კბმ ღორღი, რომელიც გამოიყენება მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთებაზე. 2022 წლის რვა თვეში დაგრეიდერებული და მოხრეშილი იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალი 3500 კვმ. შიდა გზები.

2022 წელს რვა თვეში შიდა გზების მოვლა-პატრონობისათვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 245345,87 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯული იქნა 12199 ლარი, სულ დანახარჯმა შეადგინა 257544,87 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების, მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოვლა-შენახვისათვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 270900 ლარი, საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენა 161 634ლარს, ხოლო საქონელი და მომსახურების ფონდი 109266 ლარს. 2022 წლის რვა თვეში მიღებული იქნა 131 641,32 ლარი. ჩატარებული იქნა ერთი ელექტრო ტენდერი და შეძენილი 156 ძირი სხვადასხვა ჯიშისა მრავალწლიანი ხე მცენარეები, რომელთა ღირებულება შეადგენს 13700 ლარს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანების , მწვანე ნარგაობის, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოვლა-შენახვაზე დასაქმებულია 25 თანამშრომელი.

მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებებზე, 2022 წლისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოყო 57800 ლარი. (ხელფასისათვი - 42780 ლარი,საქონელი და მომსახურებისათვი - 15020 ლარი) 2022 წლის რვა თვეში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 25705,60 ლარი. 2022 წელის რვა თვეში სამარხი ორმოს(მიწის) გაჭრა - ამოვსებიდან მიღებულმა საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 9170 ლარი, საიდანაც მესაფლავეებზე ხელფასის სახით გაიცა 2862 ლარი, ხოლო დანარჩენი დარჩა ჩვენს ორგანიზაციაში საბრუნევი საშუალებების შესაძენად.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წყლის სათავე-ნაგებობების ზედამხედველობაზე 2022 წელს გამოყოფილი იქნნა 97 800 ლარი, წყლის სათავე ნაგებობის ზედამხედველობაზე დასაქმებულია 13 კაცი, რომელთა ხელფასის ხარჯმა 2022 წლის რვა თვეში შეადგინა 40400 ლარი, შეძენილი წყლის გამწმენდი საშუალებების ღირებულებამ შეადგინა 13027 ლარმა.

2022 წლის ივლისის თვეში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, ჩვენს ორგანიზაციაში მოხდა რეორგანიზაცია, გამოგვეყო მწვანე ნარგაობის მოვლა პატრონობისა და წყლის სისტემის ზედამხედველობის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები და გადაეცა ა(ა)ი.პ წყლისა და გამწვანების კომპანიას. ინფლაციის შედეგად გაძვირდა საწვავ-საცხ მასალები და სათადარიგო ნაწილები. აგვისტოს თვეში მუნიციპალიტეტიდან დამატებით გამოგვიყეს 150 000 ლარი. სანიტარული ღონისძიებებისათვის 100 000 ლარი, შიდა გზების მოვლა-პატრონობისათვის 50 000 ლარი.

ზ. ნოზაძე,
ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისის“
დირექტორი:

ხაშურში, ჩქაროსნული ავტომაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე, მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

„აღნიშნული ტერიტორია ქალაქს ცენტრალურ მაგისტრალთან აკავშირებს, შესაბამისად, გზის მოწესრიგება საჭირო და აუცილებელია. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს გზის მოსწორების სამუშაოები, პროექტის ფარგლებში დაიგება ასფალტის საფარი და სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა საგზაო ინფრასტრუქტურა.'' - აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად სამუშაოებს მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე გაეცნო. მისი განმარტებით, პროექტის ღირებულება, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს, 1 151 597 ლარს შეადგენს.

გარდამავალ პროექტს, ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ჰედეფ ჯორჯია“ ახორციელებს.

რიკოთის მაგისტრალის მშენებლობა ვადაზე ადრე დასრულდება

ჩვენს ქვეყანაში დღეს რაც ხდება ინფრასტრუქტურის განვითარებასთან მიმართებაში, არის უპრეცედენტო, როგორც მასშტაბით, ისე შინაარსით. გვაქვს ტექნოლოგიურად ძალიან დატვირთული პროექტები, რომლებიც არა მხოლოდ ქვეყნისთვისაა უპრეცედენტო, არამედ ზოგიერთი მათგანი მსოფლიო მასშტაბითაც , - ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ განაცხადა.

მინისტრის თქმით, პანდემიის პირობებში 70 კმ მაგისტრალური გზის გახსნა მოხერხდა და თბილისიდან ბათუმამდე ჩასვლა დღეს 5 საათის ნაცვლად უკვე 4 საათშია შესაძლებელი.



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალზე მიმდინარე და დაგეგმილი ყველა საგზაო მონაკვეთის მშენებლობის დასრულების შემდეგ, წითელი

ხიდიდან სარფამდე ჩასვლას 8 საათის ნაცვლად 4-4.5 საათი დასჭირდება და საგზაო ქსელის ასეთი განვითარების პირობებში, აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალის ე. წ. შუა დერეფანი კიდევ უფრო მიმზიდველი იქნება.

„შთამბეჭდავია აღმოსავლეთ-დასავლეთის ყველაზე გამომწვევი რიკოთის მონაკვეთის პროგრესი. 97 ხიდიდან სამუშაოები მიმდინარეობს 90 ხიდზე, 51 გვირაბიდან კი, ყველაზე. 32 გვირაბი უკვე გაჭრილია და ეს პროცესი გრძელდება. რიკოთის 4 მონაკვეთად ყველაზე კარგი პროგრესი ხევი-უბისა და უბისა-შორაპნის, ანუ ცენტრალურ მონაკვეთებზე გვაქვს, რომლის კონკრეტული ნაწილის გახსნას წელს ვგეგმავთ, ხოლო მთლიანად რიკოთის 52 კმ-იანი გზის დასრულება უკვე გაისად გვაქვს დაგეგმილი,“-განაცხადა ირაკლი ქარსელაძემ.

მინისტრმა სამტრედია-გრიგოლეთის გზის პროექტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პროექტის გამოწვევები საბოლოოდ გადალახულია. პროექტის პირველი და მეოთხე მონაკვეთის დასრულება დაგეგმილია წლის ბოლოს. მხოლოდ პირველი მონაკვეთის გახსნა კიშესაძლებლობას იძლევა გვქონდეს 86 კმ-იანი ჩქაროსნული მაგისტრალი. შესაბამისად, არგვეთას კვანძიდან, ზესტაფონიდან მაგისტრალით უკვე ლანჩხუთში ჩავალთ. რაც შეეხება მესამე მონაკვეთს, სატენდერო პროცედურები დასრულების ეტაპზეა.

„მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა პროექტის დასრულების შემდეგ, აღმოსავლეთ-დასავლეთის 460 კმ-იანი მაგისტრალი 30 კმ-ით შემცირება და 430 კმ იქნება. აქედან, 219 კმ უკვე გახსნილია მოძრაობისათვის, 118 კმ-ზე კი, მიმდინარეობს სამუშაოები. სწორედ ეს არის ის 118 კმ, რომელიც, ფაქტობრივად, ყველა ძირითად მონაკვეთს მოიცავს. ჩვენი გეგმის მიხედვით, 2024 წლის ბოლომდე, უკვე ყველა ძირითადი მონაკვეთ იქნება გახსნილი“,- განაცხადა ირაკლი ქარსელაძემ.

ახალგაზრდები გარემოს დაცვაზე ზრუნავენ

„იმოქმედე გარემოსთვის“ პროექტის ფარგლებში, ქალაქ ხაშურში, ორგანიზაცია „Let s Do It“ საქართველომ, ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით, ღონისძიება მოაწყო. გარემოსდაცვითი თემატიკით მოიხატა ლიტვის სკვერში არსებული ფასადი და დასუფთავდა რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია.

ჩატარდა ვიქტორინა და გამარჯვებულებს პრიზები გადაეცათ.

ღონისძიება, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურისა და ადგილობრივი რესურსცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

პროექტი, მსოფლიო დასუფთავების დღეს მიეძღვნა და მისი მთავარი გზავნილი გარემოზე ზრუნვაა.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20 ,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5, 6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29 ,30,31,32,33,34,35)

თავდაცვის ფონდის ორდღიანი კამპანიის პერიოდში, რაიონის მასწავლებელმა ნიკოლოზ კეჩხუაშვილმა თავდაცვის ფონდში შეიტანა 3000 მანეთი, დავით კაკიაშვილმა 2500 მანეთი, დავით ტეფნაძემ, ნ. ნეკერაშვილმა, კაჭარავამ 2000-2000 მანეთი. სატანკო კოლონა „ნორჩი ლენინელის“ ასაგებად ხაშურის I საშუალო სკოლის მოსწავლეებმა შეაგროვეს 4100 მანეთი. მოსწავლეებმა ლენა თათენაშვილმა შეიტანა 200 მანეთი, თინა კვაჭაძემ და ლეილა ბირკაძემ 100-100 მანეთი.

და მაინც ქალაქში შრომითი საქმიანობის მიღწევებით რკინიგზის კვანძის მუშაკები გამოირჩეოდნენ. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხაშურელი რკინიგზელები, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ყველაზე რთულ უბანს ემსახურებოდნენ.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1943 წლის 15 აპრილიდან ყველა რკინიგზაზე შემოღებული იქნა სამხედრო წესები.

ომის პერიოდში, კვანძის მრავალი მუშაკი თავდადებული შრომის შედეგად, რამდენჯერმე აჭარბებდა გამომუშავების ნორმებს. მაგალითად, ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მჭედელი რევაზიშვილი და ხარატი ელისაშვილი, რაციონალიზატორული ჩანაფიქრის განხორციელების ჩანაფიქრის შედეგად, ცვლაში 10-10 ნორმებს იმუშავებდნენ.

ფართო ხასიათი მიიღო ნოვატორულმა მოძრაობამ. 1942 წელს, რკინიგზის კვანძზე მომუშავე 526 კომუნისტიდან სტახანოვურად მუშაობდა 278 კაცი, 192 იყო ლენინელი, ხოლო 86 „ორასოვანი“.

ხაშურის კვანძის ახალგაზრდები, 1942 წლის იანვარში, აქტიურად გამოეხმაურნენ მოსკოვის ავტოქარხნის ახალგაზრდობის მოწოდებას – ღირსეულად შეხვედროდნენ წითელი არმიის 24-ე წლისთავს.

ხაშურის საელმავლო დეპოს საამქროები ერთსულოვნად ჩაებნენ ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში. მექანიკური საამქროს (ოსტატი ლ. ქვირია) მუშაკთა კოლექტივმა დაადგინა, იანვრის თვის გეგმა შეასრულოს ვადამდე სამი დღით, ხოლო თებერვლის გეგმა ხუთი დღით ადრე. ამავე დროს, თავის საამქროს მუშებმა უწოდეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახელობის საამქრო, პერიოდული საამქროს (ოსტატი გვაზავა) მუშებმა აიღეს ვალდებულება, იანვრის თვის საწარმოო გეგმა შეასრულონ ვადამდე ხუთი დღით ადრე, ხოლო თებერვლის გეგმა 6 დღით ადრე. კრების დამთავრებისთანავე ორივე საამქროს მუშები შეუდგნენ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას .

ხაშურის საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრდებიც დიდი ენთუზიმით შეხვდნენ მოსკოველთა ინიციატივას. კომკავშირელმა ზეინკალმა პავლე ღონღაძემ აიღო ვალდებულება თავისუფალ საათებში, უსასყიდლოდ დაემზადებინა სარემონტო იარაღები წითელი არმიისათვის. ახალგაზრდა სტახანოველმა ზეინკალმა არჩილ გოგნიაშვილმა ივალდებულა, გამხდარიყო „ორასოვანი“. კანტორის თანამშრომლმა ქალებმა კომკავშირელმა მარო ყველიაშვილმა ივალდებულა, შეესწავლა ხარატის პროფესია და საჭირო შემთხვევაში დაზგასთან შეეცვალა ფრონტზე გაწვეული თანამშრომელი.

მოსკოველთა მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურენ რკინიგზის კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის დისტანციის ახალგაზრდები საამქროებში და ცვლებში ჩატარდა კრებები, სადაც ახალგაზრდობამ აიღო კონკრეტული ვალდებულებები. შ. ხიჩაკაძემ ვალდებულება აიღო არასამუშაო საათებში, უსასყიდლოდ კაპიტალური რემონტი გაუკეთეს სააკუმულატორო დანადგარს. ასეთივე ვალდებულება აიღეს ახალგაზრდა მუშებმა ბოჭორიშვილმა და პეტრიაშვილმა.

ელმწერალმა აკაკი ლაცაბიძემ, რომელიც ომის დღეებში ორ აპარატზე მუშაობდა, ივალდებულა 4 აპარტზე მუშაობა. ელმწერალმა ვლადიმერ ლაცაბიძემ იკისრა შეესწავლა სხვა სპეციალობები.

შედეგები იანვრის თვეში უკვე სახეზე იყო, საელმავლო დეპოს მექანიკურმა საამქრომ თავისი საწარმოო გეგმა 12 დღეში 150%-ით შეასრულა „ომის დროის შესაფერისი ტემპით მუშაობენ საამქროს მუშები, - წერდა ადგილობრივი გაზეთი, – აქ ვერ ნახავთ ვერცერთ მუშას, რომელიც გეგმის შესრულების საქმეში ჩამორჩებოდეს. საამქროს 30 მუშიდან 10 „ორასოვანია“... საამქროს მოწინავე მუშები დღეში 3-4 ნორმას ასრულებენ... აი, მაგალითად კომუნისტი ხარატი ამხ. ნიკ. ლომიძე. იგი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე „ორასოვანი“ გახდა. ახლა გეგმას 400%-ით ასრულებს. ზეინკალი ივანე ლომიძე და მჭედელი რევაზაშვილი 300%-ით ასრულებენ დავალებებს. ზეინკალმა გამგონიძემ და კულუმბეგაშვილმა ერთ-ერთი ელმავალი ნორმით მიცემული 39 საათის ნაცვლად 20 საათში გამოუშვეს შეკეთებიდან. ხარატი ნოზაძე დურგალი კოლია ლომიძე, ზეინკალი გამგონიძე, ეროს დამრტყმელი სუხიაშვილი და თვით საამქროს ოსტატი ამხ ლევან ქვირია, – ესენი კვანძის ცნობილი სტახანოველები არიან. პირსისხლიანი ჰიტლერის ყაჩაღური ბანდების სსრ კავშირზე თავდასხმას მათ უპასუხეს წითელი არმიისათვის დახმარების გაძლიერებით და ახლა ისინი „ორასოვნებია“. ზეინკალი გამგონიძე გეგმას 240%-ით ასრულებს, ხარატი ნოზაძე - 250%-ით. ეროს დამრტყმელი სუხიშვილი 300%-ით და სხვა. მექანიკურმა საამქრომ სასახელოდ დაამთავრა გასული წელიც. დეკემბრის გეგმა 301%-ით შეასრულა. მიმდინარე წელს საამქრო ახალ სარეკორდო მაჩვენებლებს გვპირდება“.

საელმავლო დეპოს კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მოწოდებას წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. საელმავლო ბრიგადამ რომელსაც ლენინელი შიუკაშვილი ხელმძღვანელობდა, ივალდებულა საათში 1-1,5 კილომეტრით გაედიდებინა ელმავლის ტექნიკური სიჩქარე, ხოლო სამუშაოდან თავისუფალ საათებში დახმარებოდნენ ავტომუხრუჭების ბრიგადას. ბრიგადამ ივალდებულა აგრეთვე, რომ მისი ყველა წევრი მაისამდე შეისწავლიდა შემდუღებლის პროფესიას.

ვალდებულებები აიღო გ. აბაიაძის საელმავლო ბრიგადამაც, რაც ითვალისწინებდა თავად მათ ჩაეტარებინათ ავტომუხრუჭების რევიზია. ასევე შეესწავლათ შემდუღებლის პროფესია. ბრიგადას უკვე 5 აპრილისათვის ვალდებულების ერთი ნაწილი შესრულებული ჰქონდა. კერძოდ, ჩაატარეს ავტომუხრუჭების რევიზია, რამაც სახელწიფოს სახსრების ეკონომია მისცა.

„საქმიანი,ენერგიული მუშაობა არის გაშლილი მთელს დეპოში აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, – წერს გაზეთი, – თითოეული მემანქანე, ოსტატი, ინჟინერ-ტექნიკოსი, თანამშრომელი თავდადებით მუშაობს, რათა პირველი მაისის დღესასწაულს აღებულ ვალდებულებათა შესრულებით შეეგებოს“.

წინასამაისო სოციალისტურ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებდნენ საორთქლმავლო დეპოს თანამშრომლები, ამაღლებდნენ შრომის ნაყოფიერებას, სახელმწიფოს აძლევდნენ ეკონომიას. ერთ-ერთი სახის სამუშაო,რომლის შესასრულებლად 105 საათი იყო საჭირო, მემანქანის თანაშემწეებმა ბ. ჭანკოტაძემ, ს. ჩაჩანიძემ და ნ აბაიაძემ, რომლებიც კარგ ზეინკლებადაც ითვლებოდნენ, 71 საათის განმავლობაში შეასრულეს.

საორთქლმავლო ბრიგადამ: ს. ბათაევის, ნ. კიკნაძის, გ. ლომსაძის, ვ. კვინიკაძის, ბ. ქურდაძის და კ. კაპანაძის შემადგენლობით შეაკეთეს ორთქლმავლის ტენდერის გოგირწყვილის ერთ-ერთი ნაწილი და 541 მანეთის მუშა-ძალა დაზოგეს. ამ ბრიგადის ორთქლმავალი სამეურნეო ანგარიშზე იყო და ბრიგადის წევრებს დაზოგვის პრემიის სახით 6508 მანეთი ჰქონდათ მიღებული.

წარმატებები ჰქონდა ბრიგადას, რომელშიც ტ. ბლიაძე, ვ. გოგნაძე და გერმანაშვილი შედიოდნენ თანაშემწეებთან ერთად მათ თვითონ ჩაატარეს ორთქლმავლის რემონტი,ამასთან 350 მანეთიც დაზოგეს. ორთქლმავალი 15 საათით ადრე გამოუშვეს შეკეთებიდან.

ზეინკლები: გ. გიორგაძე და ილ. ჩიტაძე ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 195-200%-ით ანაღდებდნენ“.

სავაგონო დეპოში დ. ჩადუნელის ცვლაში 40 კაცი მუშაობდა. აქედან 30 სტახანოველი, ხოლო 6 დამკვრელი იყო. საპირველმაისოდ ვალდებულებას იღებდა, რომ ცვლის ყველა თანამშრომელი სტახანოველი გახდებოდა. „მთელ რკინიგზაზე ყველაზე მოწინავეთა შორის ჩადგებოდნენ“. ამ ცვლაში საუკეთესო მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ გამსინჯველები: ს. ლურსმანაშვილი, გ. ფცქიალაძე, ივ. ნადირაძე, ალ. ლაცაბიძე, ავტოზეინკლები: დუტკინი და მაჭარაშვილი. ისინი ყოველთვის მუყაითად ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს და არ ჰქონდათ უხარისხო მუშაობის არცერთი შემთხვევა.

სამამულო ომის დასაწყისში სავაგონო დეპოში არაერთი ქალიშვილი მივიდა სპეციალობათა დასაუფლებლად. თინა ბითაძე და მანია აბრამაშვილი ავტოსაკონტროლო პუნქტში მოხვდნენ სამუშაოდ. მათ ივალდებულეს, პირველი მაისისთვის დაუფლებოდნენ მატროსოვის ჰაერგამანაწილებელს. მათ ვალდებულება შეასრულეს და პირველი მაისიდან უკვე დამოუკიდებლად ახდენდნენ ჰაერგამანაწილებლის რთული მოწყობილობის შეკეთებას.

ხაშურის რკინიგზის კვანძის საწარმოები 1942 წლის მაისში ჩაებნენ მოსკოველ რკინიგზელთა მიერ წამოწყებულ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში .საორთქლმავლო დეპოს ლენინელმა მემანქანემ, ბლიაძემ, სპეციალურად გამართულ მიტინგზე აღნიშნა, რომ იგი ერთსულოვნად უჭერდა მხარს მოსკოველთა მოწოდებას. „ვებმები რა რკინიგზელთა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში, - ამბობდა იგი, – პირობას ვიძლევი, შევინარჩუნო და განვამტკიცო ჩემი საორთქლმავლო ბრიგადის წარმატებანი. – ყოველმხრივ ჩვენ მოვუვლით ორთქლმავალს, დავზოგავთ საწვავს, ზუსტად დავიცავთ მოძრაობის გრაფიკს“.

საკომპლექსო ბრიგადის სახელით სიტყვა წარმოთქვა, ოსტატმა გიორგი ლომიძემ. „ჩვენი ბრიგადა,- აღნიშნავდა იგი,- მეორე კვარტალის გეგმას 15 დღით ადრე შეასრულებს ყოველთვიურად, სულ მცირე 150 პროცენტით შევასრულებთ საწარმოო დავალებებს. ჩვენი პროდუქცია საუკეთესო იქნება... ვიბრძოლებთ, რომ ავადმყოფი ორთქლმავლების პროცენტი სულ მცირე 5%-ით შევამციროთ”.

ავტოზეინკალმა ციყელაშვილმა ივალდებულა, 300 პროცენტით შეასრულოს გეგმები და რკინიგზელთა საკავშირო დღემდე გეგმის გარეშე შეაკეთოს 5 ჰაერგამანაწილებელი.

შეჯიბრებაში ჩაებნენ და ვალდებულებები აიღეს: მჭედელმა არშაკ მჭედლიშვილმა, ზეინკალმა გიორგაძემ, მემანქანეებმა მამიაშვილმა, არჯევანიძემ, გუდაძემ, მემანქანე-ინსტრუქტორმა თევზაძემ, ყველიაშვილმა და სხვებმა. „საორთქლმავლო დეპოს მუშაკებმა, სამამულო ომის პერიოდში, სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. ახლა აღებულ ვალდებულებათა განაღდება ყველა დეპოელის, ყველა კომუნისტისა და კომკავშირელის უპირველესი ამოცანაა. ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება. გამარჯვება კიროვობადის (განჯის) საორთქლმავლო დეპოსთან სოცშეჯიბრში“.

რკინიგზის ტრანსპორტზე, სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრში ჩაებნენ სავაგონო დეპოს მოსამსახურეებიც.

დეპოს პირველმა ათასოვანმა, შემდუღებელმა კილასონიამ, ვალდებულება აიღო, რომ შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა მიღწეული წარმატება. 1000 პროცენტზე ნაკლებად არასდროს შეასრულოს საწარმოო გეგემები.

„დღემდე – ამბობდა მჭედელი ბეჟან კალმახელიძე – 400 პროცენტით ვასრულებდი, ახლა კი 500 პროცენტით შევასრულებ გეგმებს.“

„ადრე მე ვივალდებულე „ორასოვანი“ გავმხდარიყავი, - აღნიშნა ზეინკალმა გიორგი აბუაშვილმა,- ამას მივაღწიე,ახლა პირობას ვიძლევი გავხდე „სამასოვანი“ – „ოთხასოვანი“, ამასთან უფრო გავაუმჯობესო შესრულებული სამუშაოს ხარისხი.“

გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვა“, სავაგონო დეპოს თანამშრომლებზე, აღნიშნავდა: „ბრიგადირმა არშაკ მოსიაშვილმა, ოსტატმა ალექსანდრე ზაზიკაშვილმა, ინჟინერმა კუციამ, ვაგონების მიმღებმა გომიაშვილმა, ცვლის ოსტატმა ვახტანგ ქიტიაშვილმა და სხვა ამხანაგებმა, რომლებიც შეჯიბრებაში ჩაებნენ, ივალდებულეს, არსებითად გააუმჯობესონ მუშაობა, მეტი და მეტი მასალები დაზოგონ, ფართოდ გამოიყენონ შინარესურსები, დაეხმარონ ახალგაზრდა მუშებს, ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ რკინიგზას მისცენ კარგად შემოწმებული და შეკეთებული ვაგონები.

სავაგონო დეპოელებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს კიროვაბადელი ამხანაგები. ხაშურლები ვადებულებას ღებულობდნენ, 25 პროცენტით გადაემეტებიათ სამგზავრო ვაგონების წლიური გასინჯვის გეგმა, გასინჯვის ქვეშ ვაგონების მოცდენა შეამცირონ 105 პროცენტით, მარაგ-ნაწილების 50 პროცენტს დაამზადებენ შიდა რესურსებით. ივნისის თვეში სახელმწიფოს, გეგმის გადამეტებით, ჩააბარონ 5 ტონა თუჯი და 5 ტონა რკინის ჯართი.

ხაშურის სადგურის თანამშრომლები სოციალისტურ შეჯიბრებაში სამტრედიის სადგურთან ჩაებნენ. „ხაშურის სადგურის მუშაკთა კოლექტივი, - ნათქვამი იყო კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში, – ფრონტისათვის დახმარების გასაძლიერებლად ებმება სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულებას ვღებულობთ, რომ სატრანსპორტო ვაგონების მოცდენა შევამციროთ 30 პროცენტით, ხოლო ოპერაციის ქვეშ მდგომი ვაგონებისა 20 პროცენტით. ზუსტად დავიცვათ საბარგო მატარებლების მსვლელობის განრიგი,მატარებლების შედგენის წესებს (არცერთ მატარებელს არ გავუშვებთ დაწესებულზე ნაკლები წონისა და სიგრძისას), 15 პროცენტით შევამცირებთ მატარებლების შედგენის დროს, ამასთან ზუსტად დავიცავთ ტექნოლოგიური დისციპლინასაც“.

კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის დისტანციის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისისა და სამტრედიის ანალოგიური დისტანციები.

„მოსკოველ რკინიგზელთა მომართვის საპასუხოდ – აღნიშნავდა უფროსი ელექტრიკოსი ვ. ფრანგიშვილი, - ჩვენი ბრიგადა ღებულობს ვალდებულებას, მაისის გეგმა შეასრულოს 150 პროცენტით, მიაღწიოს მასალის ეკონომიას 10 პროცენტით, 40 ნიშანსვეტი შეაკეთოს უსასყიდლოდ სამუშაო საათების გარეშე“.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ნანა გელაშვილი: ჩემი წარმატებები ჩემი მოსწავლეების დამსახურებაა, ჩემი გამარჯვება - მათი გამარჯვებაა...

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის მე-3 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ნანა გელაშვილი Fulbright Teaching Excellence and Achievement (TEA) and Fulbright Media Literacy Program, 2023 წლის შემოდგომის სეზონის მონაწილე გახდა.

პროგრამა ხორციელდებოდა ა.შ.შ.-ს სახელმწიფო ბიუროს განათლების და კულტურული საკითხების დეპარტამენტის და ორგანიზაცია IREX-ის მიერ. ამჟამად იგი მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ექვსკვირიან დახელოვნების პროგრამას გაივლის ამერიკის მასპინძელ უნივერსიტეტში

პროგრამის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პედაგოგებს შორის კომუნიკაციას, კულტურათაშორის დიალოგს და პედაგოგოთა პროფესიულ ზრდას.

პროგრამა სრულად ფინანსდება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

ჩვენ დავუკავშირდით ქალბატონ ნანას და გთავაზობთ მასთან ინტერვიუს დღევანდელ ნომერში:

- მცირე ბიოგრაფიული შტრიხები.... ჰობი,ინტერესები,მიზნები,თავისუფალი დროის რეალიზება....

- მე გახლავართ ნანა გელაშვილი. ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის მე-3 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი. ინგლისური ენის სიყვარული ბავშვობიდან მომყვება, სკოლაში ჩემი პედაგოგი ქალბატონი დარეჯან ჩოჩია გახლდათ. მან გააღვივა ჩემში ინგლისური ენისადმი ინტერესი და სიყვარული. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ უცხო ენის პედაგოგობა გადავწყვიტე. სიმართლე რომ გითხრათ, თავისუფალი დრო თითქმის არასდოს მაქვს. რაც შეეხება ჰობს- ფოტოგრაფია არის ჩემი ჰობი, არ მიფიქრია მასზე როგორც პროფესიაზე, თუმცა წლების მანძილზე ამით ვარ გატაცებული.

- ქალბატონო ნანა, გვიამბეთ კონკურსის შესახებ, რომელში მონაწილეობაც თქვენთვის წარმატებით დასრულდა...

- Fulbright TEA program გაცვლითი პროგრამა არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა პედაგოგებისთვის,რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო აცხადებს. გაცვლით პროგრამაში, ძირითადად, უცხო ენის (ინგლისური ენის), მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მიმართულებების მასწავლებლებს შეუძლიათ მონაწილეობა. წელს მივიღე მონაწილეობა აღნიშნულ კონკურსში, სადაც მოვიპოვე გამარჯვება და შემარჩიეს ფულბრაიტის მასწავლებელთა დახელოვნების (Fulbright TEA) პროგრამის ფინალისტად . აშშ-ის მასწავლებელთა დახელოვნების სახელმწიფო პროგრამით (TEA) გავემგზავრები ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უნიკალური საშუალება მომეცემა, კიდევ მეტად განვვითარდე და დავხელოვნდე პროფესიული განხრით, გავიუმჯობესო სწავლების უნარ-ჩვევები და გავიღრმავო ცოდნა ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ. სწავლების პერიოდში გვექნება სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების შესახებ სემინარები, სადაც ფართოდ გაშუქდება სასწავლო კურიკულუმის განვითარება, გაკვეთილის დაგეგმვა და ინსტრუქციული მიდგომები.

გარდა ამ პროგრამისა,აქტიურად ვარ ჩართული საერთაშორისო სასკოლო საგანმანათლებლო პროექტებში, სადაც ვთანამშრომლობ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის პედაგოგებთან და ჩემს მოსწავლეებთან ერთად ვახორციელებ სასწავლო პროექტებს. რაც შეეხება პროფესიულ განვითარებას, აქტიურად ვარ ჩართული, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ტრენინგებსა თუ ვებინარებში. 2018 წელს, პროგრამა eTwinning- ის ფარგლებში, წარგზავნილი ვიყავი აზერბაიჯანში, სადაც ვესწრებოდი კონტაქტურ სემინარს უცხოელ პედაგოგებთან ერთად. ხოლო 2019 წელს კი ავსტრიაში ქ.ვენაში დავესწარი eTwinning-ის პროფესიული განვითარების სემინარს (PDW) "ციფრული კომპეტენციები და ინფორმაციული ტექნოლოგიების დიდაქტიკა". წარმატებული სასკოლო პროექტების განხორციელებისთვის, ჩემს მოსწავლეებთან ერთად, რამდეჯერმე დავჯილდოვდი მასწავლებელთა სახლის მიერ. ჩემი წარმატებები ჩემი მოსწავლეების დამსახურებაა, ჩემი გამარჯვება - მათი გამარჯვებაა.

- რამდენადაც ინფორმაცია გვაქვს, კონკურსი საერთაშორისო იყო, საქართველოს გარდა ვინ იყვნენ კონკურსის მონაწილე ქვეყნები?

- დიახ, ეს საერთაშორისო კუნკურსია, სადაც მრავალი ქვეყნის მასწავლებელი იღებს მონაწილეობას, მათ შორისაა საქართველოც.

- უკვე ცნობილია, რომ მიემგზავრებით ამერიკაში. თუ შეიძლება, უფრო ვრცლად და კონკრეტულად ვიზიტის შესახებ,რა ღონისძიებები და სწავლებები იგეგმება პროგრამის ფარგლებში?

- შერჩეულ პედაგოგებს შესაძლებლობა ექნებათ აშშ-ში მონაწილეობა მიიღონ ყოველკვირეულ სემინარებში, პრეზენტაციებსა და დისკუსიებში, რომელიც გაიმართება მასპინძელ უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლებისა და მოწვეული საგანმანათლებლო ექსპერტების ხელმძღვანელობით. *Fulbright TEA Program-* ითვალისწინებს აკადემიურ სემინარებს, რომლებიც ორიენტირებულია სწავლების ახალ მეთოდოლოგიაზე,ბავშვზე ორიენტირებულ სწავლებაზე,შინაარსზე დაფუძნებულ ინსტრუქციებზე,გაკვეთილის დაგეგმვასა და სასწავლო ტექნოლოგიების ტრენინგებზე და ასე შემდეგ.

- თქვენი მოლოდინები და თქვენი ფიქრები, რას მოგიტანთ პროგრამა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით?

- ჩემთვის, როგორ მასწავლებლისთვის, მნიშვნელოვანია მუდმივად სიახლეების ძიება, მე გავეცანი ამ პროგრამის სასწავლო კომპონენტს, რომელიც მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, პრაქტიკულ გამოცდილებას მივიღებ აშშ-ს მასპინძელი უნივერსიტეტის საშუალო სკოლაში, სადაც ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად, ერთობლივად და დამოუკიდებლად ჩავატარებ გაკვეთილს და სკოლის ამერიკელ მოსწავლეებს გავაცნობ პრეზენტაციას საკუთარი ქვეყნების შესახებ. კურსის დასრულების შემდეგ, იქ შეძენილ ცოდნას და გამოცდილებას დავნერგავ ჩემს სკოლაში და გავუზიარებ კოლეგებს.

- ოჯახი, სკოლა, მოსწავლეები, კონკურსები... საინტერესოა თქვენს შემთხვევაში როგორ უთავსებთ ამ ყველაფერს ერთმანეთს?

- დიდი გამოწვევაა, ყველაფერი მოასწრო, – იყო კარგი მასწავლებელი, განახორციელო პროექტები და თან ყურადღება არ მოაკლო ოჯახს. ამ ყველაფერს ოჯახის დახმარებით ვახერხებ. ჩემი ოჯახი ყოველთვის ინტერესდება ჩემი აქტივობებით მათი მხარდაჭერა მაძლიერებს, მაბედნიერებს და ათმაგად ვიხარჯები, რომ ვიყო წარმატებული და პროდუქტიული მასწავლებელი.

- იმედია,ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ, კიდევ შევხვდებით და თქვენს შთაბეჭდილებებს და პროექტის შედეგებს გაგვიზიარებთ...

- სიამოვნებით!

თ. ახალკაცი

ელიკო შუბითიძე - 62 წელი მოზარდთა აღზრდის საქმეში

სასწავლო წლის დაწყება ყოველთვის ასოცირდება ბავშვობის ტკბილ მოგონებებთან, მშობლიური, ძალზედ თბილი განცდაა, განსაკუთრებით როცა ჩაუვლი სკოლას,რომელიც დაამთავრე,ადგილს,სადაც სწავლის გარდა ათასი სისულელე მოგსვლია თავში და გიკეთებია კიდეც. მასწავლებლის დანახვისას? აი ეს კიდევ სხვა ფენომენია, ათას მოგონებასთან ერთად მოწიწება და სიყვარული პირველია, რაც თავს შეგვახსენებს.

ქალბატონმა ელიკო შუბითიძემ 80 - ს გადააბიჯა, თუმცა ქალაქში მისი საქმიანი, ენერგიული ნაბიჯები თუ შეგინიშნავთ, ასაკს სულაც არ მიაქცევთ ყურადღებას. მისი ცხოვრების აქტიური რიტმი 1960 წლიდან დაიწყო, როცა ხაშურის მუსიკალურ სკოლასა და 96 - ე საბავშვო ბაღში პედაგოგად დაიწყო მუშაობა. წლების განმავლობაში ქალბატონმა ელიკომ კარგად შეისწავლა უმცროსი თაობის აღსაზრდელთა საჭიროებები და შესაძლებლობები, დასასვენებლად წასულმა კურორტ სოჭიდან თავისი ხარჯებით შეიძინა მუსიკალური ინსტრუმენტები: ქსილოფონები, დოლი, არფა, მეტალოფონები და აი, 1975 წელს ხაშურში პირველი საბავშვო რიტმული ორკესტრიც ჩამოყალიბდა, რომელიც დღემდე არ კარგავს თავის როლს და აქტუალობას.

ქალბატონი ელიკოს ნოვატორული სვლები ამით არ შემოფარგლულა, 90 - იანებში კერძო საბავშვო ბაღი დააფუძნა, რომელმაც იმ რთულ პერიოდში ბევრ მშობელს შეუწყო ხელი ოჯახი სოციალურ - ეკონომიკური კრიზისისგან გადაერჩინა. მადლიერი მშობლები (თავდაპირველად კონტიგენტი სულ 10 ბავშვით განისაზღვრა) დღემდე იხსენებენ, როგორ ამზადებდა თითოეული მშობელი ყოველდღე ახალ - ახალ, გემრიელ სადილს 10 პატარასთვის, როგორ მკაცრად ითხოვდა მასწავლებელი ჰიგიენის ნორმების დაცვას და ბავშვებს ზრდილობის ელემენტარულ წესებს როგორ უნერგავდა. ელიკო შუბითიძემ 60 - იანი წლებიდან მოყოლებული 62 წლიანი გამოცდილება დააგროვა, ის დღემდე მუშაობს და სხვაგვარად ვერც წარმოუდგენია.

დიახ, დღეს სკოლამდელ დაწესებულებებში სამუშაო პროცესი განახლდა. სიმბოლურია, თქვენი ყურადღება უხუცეს პედაგოგზე მიგვეპყრო, ვუსურვებთ ელიკო შუბითიძეს სასწავლო პროცესის დაწყებას, სიმხნევეს, ჯანმრთელობას, იდეების სიუხვეს ვუსურვებთ.

ირინე გოცირიძე

“ოქროს ფარის“ ოქროს ბავშვების ტრიუმფი თურქეთში

„თუ არ გინახავთ ქართული ცეკვა, ჩათვალეთ, რომ თქვენ საერთოდ არ იცით, რა არის ცეკვა. ეს არის სასწაული, ეს არის საოცრება, რომელსაც სიხარული,აღტაცება თუ გაოცება ერთად მოაქვს და სურვილი გიჩნდება,რომ არასოდეს დასრულდეს“... ეს სიტყვები თურქეთის ქალაქ სოკეს მერს მუჰმედ

თამაზოღლუს ეკუთვნის,რომლის სპეციალური მიწვევით,ამ დღეებში,ჩვენი ქალაქის ფოლკლორული ანსამბლის „ოქროს ფარის“ ბავშვები აღნიშნულ ქალაქში, საერთაშორისო ფესტივალზე, მაყურებლის წინაშე წარსდგნენ. „წარსდგნენ“ აქ რბილად ნათქვამია, წარსდგნენ კი არა გადარიეს მთელი ქალაქი. იმდენად მოიხიბლნენ ჩვენი ბავშვების შემოქმედებით, პირველივე საღამოს, უკვე მეზობელი ქალაქის, გაზიანთეფის მერმა მიაკითხა და ლამის დაუჩოქა,ოღონდ არ წახვიდეთ,ჩემს ქალაქს ესტუმრეთ და იქაც გვაჩუქეთ ეს სიამოვნებაო. ანსამბლის ხელმძღვანელებმა,ქალბატონმა ნონა თედიაშვილმა და ბატონმა პაატა თედიაშვილმა ფრთხილად „შეაპარეს“ - იქ ამდენი ბავშვით (დელეგაციის მთელი შემადგენლობა 60 კაცს ითვლიდა) სად მოვთავსდებითო. იმანაც - ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო გვაქვს დიდებულიო. ოღონდ თქვენ დაგვთანხმდით და სამი დღე მთელ ხარჯებს, კვებიანად, მე ვიღებ ჩემს თავზეო. (სულ უხეში გათვლითაც, საუბარი 25-30 ათას დოლარზეა. გ.გ.).

ახლა გაზიანთეფი გადარიეს ჩვენმა ბავშვებმა. ფესტივალი „ოქროს ფარელი“ ბავშვების ცეკვებით იხსნებოდა და იხურებოდა. ხუთი ნომრით აღაფრთოვანეს აუდიტორია: „ქართული“. „ცეკვა-თამაში“, „ლაზური“, „აჭარული“ და „მთიელთა როკვა“. საღამოები მსოფლიო ფესტივალის ეგიდით ტარდებოდა და მასში თურქი სუპერვარსკვლავებიც მონაწილეობდნენ. ისინი იმდენად პოპულარულები არიან, რომ დედაქალაქში მათ ჩამოსაყვანად სპეციალური თვითმფრინავი იგზავნებოდა. აქ კი ვიღას ახსოვდა ეს ვარსკვლავები. მთელი ყურადღება ჩვენი ანსამბლისაკენ იყო მიმართული და კულმინაციაც მათი იყო. თვითონ თურქი ვარსკვლავებიც, თავისი გამოსვლის შემდეგ, სპეციალურად რჩებოდნენ, რომ „ოქროს ფარის“ სცენური მშვენიერება ეხილათ.

მართლაც ბრავო „ოქროს ფარს“. ბრავო მათ ხელმძღვანელებს და ბრავო ამ შესანიშნავ ბავშვებს, რომლებმაც კიდევ ერთხელ აჩვენეს უზარმაზარ

აუდიტორიას (კონცერტებს რამდენიმე სატელევიზიო არხი ლაივრეჟიმში აშუქებდა) ჩვენი ფოლკლორის საოცრება, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არა ჰყავს!

გ. გოგოლაძე

„დურუს“ თასის გათამაშება დასრულდა

ხაშურში ტრადიციული ტურნირი მინი ფეხბურთში მოყვარულთა შორის „დურუს თასი 2022“ დასრულდა. ტურნირი გარდაცვლილი ახალგაზრდა ფეხბურთელის - დავით გოჩიაშვილის სახელს ატარებს.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს „ემტეესი“ და „Warriors“ დაუპირისპირდნენ. შეხვედრა გუნდმა „Warriors“ ანგარიშით 2:0 მოიგო და დურუს გარდამავალ თასს დაეუფლა.

მესამე ადგილზე გავიდა გუნდი „ჩვენებურები“.

გამარჯვებულებს პრიზები და შესაბამისი სინჯის მედლები გადასცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფრუიძემ, სპორტის განყოფილების ხელმძღვანელმა ბესიკ გაჩეჩილაძემ, ხაშურის სასპორტო სკოლის დირექტორმა ივანე ხარაზიშვილმა და ვეტერანმა სპორტსმენებმა. დაჯილდოვდა ტურნირის საუკეთესო მეკარე გიორგი ლომიძე („Warriors“), რომელსაც ტურნირის განმავლობაში გოლი არ გაუშვია. მაყურებლის სიმპათიის პრიზი დაიმსახურა „ემტეესის“ ფეხბურთელმა ვანო მჭედლიშვილმა, ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი „Warriors“ ფეხბურთელ ნიკა იკაშვილს გადასცა დავით გოჩიაშვილის დედამ - ლეილა ახალკაცმა.

დურუს გარდამავალი თასი გუნდის - „Warriors“ ფეხბურთელებს დავით გოჩიაშვილის მამამ - თენგიზ გოჩიაშვილმა გადასცა.

იყიდება სასახლკარე ნაკვეთი

ხაშურში, იმერეთის ქუჩის მიმდებარედ, ე.წ. „სვანების“ მაღაზიის მეზობლად, სასწრაფოდ იყიდება სასახლკარე ნაკვეთი 8,9 მეასედი, მდინარე შოლას ნაპირზე.

ტელეფონი: 5 55 24 85 22
5 99 29 56 81

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.